ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 14 თებერვლის №01250453418 წერილით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა №90-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.11.009.015) მიმდებარედ

არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №012435333-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, უიარაღოსა და ხუდადოვის ქუჩების კუთხეში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.20.011.020) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №01.12.20.011.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, №01.12.20.011.020 საკადასტრო ერთეულის უმეტეს ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 12 თებერვლის №01250433272 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უიარაღოსა და ხუდადოვის ქუჩების კუთხეში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.20.011.020) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01250372282-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.017.172) მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მიწის ნაკვეთზე უფლებათა ცვლილების სისტემური რეგისტრაცია, რომლის ფარგლებში თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების/რეგისტრაციის ხელისშემშლელ გარემოებად დაფიქსირდა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2025 წლის 11 თებერვლის №01250423460 წერილით, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების

წინააღმდეგი არ არის, ვინაიდან ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ქვეზონა ვრცელდება ფაქტობრივად არსებულ შენობა-ნაგებობის შესასვლელსა და შენობა-ნაგებობის ნაწილზე. შესაბამისად, განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.017.172) მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01250383872-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.24.017.032) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში არსებული ფუნქციური ზონის (სატრანსპორტო ზონა 1) ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, №01.12.20.011.020 საკადასტრო ერთეულის უმეტეს ნაწილზე ვრცელდებოდა სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 13 თებერვლის №01250441791 წერილით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ ქმნის გზათა ერთიან ქსელს, აგრეთვე, მისი არსებული კონფიგურაცია და პარამეტრი არ არის შესაბამისი განსახილველ მონაკვეთზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.19.24.017.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიასა და №01.19.24.007.924, №01.19.24.007.062 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის კორექტირება, კერძოდ, №01.19.24.007.924, №01.19.24.007.062 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება

სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), ხოლო მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1 (სპეცზ1) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.24.017.032) ნაწილზე, №01.19.24.007.924, №01.19.24.007.062 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება, ასევე, მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №0125043903-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.133) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და №01.12.12.024.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2025 წლის 14 თებერვლის №01250453361 წერილით, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების წინააღმდეგი არ არის, ვინაიდან ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ქვეზონა ვრცელდება ფაქტობრივ ღობესა და შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.133) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №012435715-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის №68ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.13.033.161) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტო, 2025 წლის 6 თებერვლის №0125037504 წერილით, აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ნაწილობრივ, კერძოდ, საპროექტო ტერიტორიაზე, ჩრდილოეთით არსებული ევსტატე მცხეთელის ქუჩის მხრიდან შემავალი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გაუქმდეს №01.18.13.033.161 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ხოლო საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.18.13.033.161 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, №01.18.13.033.162 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და №01.18.13.033.159 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის №68ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.13.033.161) ნაწილზე, ასევე, №01.18.13.033.162 და №01.18.13.033.159 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №01243522944-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქუჩა N2ში; ქალაქ თბილისში, ლევან ალექსიძის ქუჩა N5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.04.028.084, №01.14.04.028.085, №01.14.04.028.083, №01.14.04.028.082, გ01.14.04.028.091, №01.14.04.028.092, №01.14.04.028.089, №01.14.04.028.051-ის ნაწილი) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1), საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სსიპ - ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის (ს/ნ: 20487306) სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებლისთვის ვარგისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის სარემონტო სამუშაოების დასრულება, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებლის შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ექსპლუატაციაში მიღება და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სამშენებლო

პროექტისა და პირობების შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ს/ნ: 205169592) სასარგებლოდ, უსასყიდლოდ შენობა-ნაგებობის მშენებლობა, სარემონტო სამუშაოების დასრულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შესაბამისი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა; სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ს/ნ: 205169592) სასარგებლოდ, ამავე სააგენტოს ფილიალისათვის (სპეციალიზებული დაწესებულებისთვის) - „თბილისის ბავშვთა სახლისთვის“ საჭირო შენობა-ნაგებობის სამშენებლო პროექტის მომზადების უზრუნველყოფა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული პარამეტრების შესაბამისად და აღნიშნული პროექტის ამავე სამინისტროსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა („სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ოპტიმა საბურთალოსა“ და შპს „ლენდისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის №357 განკარგულება).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 17 იანვრის №01250173115 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2025 წლის 3 თებერვლის №01250343166 წერილით, მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნილი სახით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნას.

2025 წლის 17 თებერვლის №61-01250484226 წერილის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მითითებული ფუნქციური ზონის ცვლილება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნევა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტო, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე: №01.14.04.028.092, №01.14.04.028.089, №01.14.028.051 განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარედ, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 1 -ისა (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქუჩა №2ში; ქალაქ თბილისში, ლევან ალექსიძის ქუჩა №5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.14.04.028.084, №01.14.04.028.085, №01.14.04.028.083, №01.14.04.028.082, №01.14.04.028.091, №01.14.04.028.092, №01.14.04.028.089, №01.14.04.028.051-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1), საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 20 თებერვლის №12-032505114-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №0125035991-67; №012435333-67; №01250372282-67; №01250383872-67; №0125043903-67; №012435715-67; №01243522944-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 20 თებერვლის №12-032505114-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7წინადადება - №0125035991-67; №012435333-67; №01250372282-67; №01250383872-67; №0125043903-67; №012435715-67; №01243522944-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მერვე (მიმდინარე) საკითხები

- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505753-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მერვე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505753-03 წერილი) წარმოადგინა ბ-ნმა ლევან მამალაძე.

მომხსენებლის (ლ. მამალაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ რეორგანიზაციის ფარგლებში, მიმდინარე პროექტების ჯეროვნად განსახორციელებლად და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილი გახდა გარკვეული განყოფილებების გამოყოფა მოქმედ დეპარტამენტებში, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების

დეპარტამენტს დაემატება „ცხოველთა პოპულაციის მართვის განყოფილება“, ხოლო ადმინისტრაციული დეპარტამენტი, პროექტის მიხედვით, შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „საფინანსო-მატერიალური განყოფილება“, „საორგანიზაციო განყოფილება“, „იურიდიული განყოფილება“.

ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ცხოველთა პოპულაციის მართვის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა. სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებას (კასტრაცია-სტერილიზაცია, ვაქცინაცია, სხვადასხვა სახის სამედიცინო პროცედურების განხორციელებას);

ბ. ცხოველთა თავშესაფარში შემოყვანილი ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს და ტრავმირებული ცხოველებისათვის შესაბამისი პირველადი დახმარების აღმოჩენას;

გ. თავშესაფარში შემოყვანილ ცხოველებზე ლაბორატორიული კვლევების ჩატარების განხორციელებასა და დიაგნოსტიკას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, მასში შემავალი საფინანსო-მატერიალური განყოფილება უზრუნველყოფს:

ა. სააგენტოს სახელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დასაწყობებას და დაცვას;

ბ. სააგენტოს მომარაგების ორგანიზებას;

გ. სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარებასა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ. სააგენტოს საფინანსო-საბუღალტრო მომსახურების განხორციელებას;

ე. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის უზრუნველყოფასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურით განხორციელებას, მათ შორის: სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის საჯარო დაწესებულებაში წარდგენას, ტენდერის, კონკურსის და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმებით ორგანიზებასა და განხორციელებას;

ვ. სასაწყობე და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ლოჯისტიკის უზრუნველყოფას;

ზ. სამეურნეო საქმიანობის წარმართვას;

თ. სააგენტოს საქმიანობისთვის საჭირო ლოჯისტიკური ღონისძიებების განხორციელებას;

ი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზებას, შესყიდვების გეგმის შემუშავებას, ხელშეკრულებების გაფორმებასა და სხვადასხვა დოკუმენტაციის შემუშავებას;

კ. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებასა და ტენდერების ორგანიზებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ლ. სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნების მიღებას, დამუშავებასა და მონიტორინგს;

მ. სააგენტოში არსებული ფულადი რესურსის, ნაშთების ყოველდღიურ აღრიცხვასა და კონტროლს.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილება უზრუნველყოფს:

ა. სააგენტოს გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას;

ბ. სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვასა და პერსონალის ადმინისტრირებას;

გ. შრომითი ხელშეკრულებების მომზადებას;

დ. სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში, თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულებისა და მივლინების შესახებ სააგენტოს დირექტორის ბრძანებების პროექტების მომზადებას;

ე. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცნობების გაცემას;

ვ. სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენას;

ზ. სააგენტოში შემოსული დოკუმენტაციის მიღებას და მათ აღრიცხვას;

თ. საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებას და არქივისათვის გადაცემას (არქივირება);

ი. კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციისა და მოქალაქეთა განცხადებების განხილვას;

კ. სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ლ. სააგენტოს თანამშრომლებზე სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის გაცნობას და კონტროლს;

მ. სააგენტოს საქმიანობის ანალიზს, შესაბამის სფეროში დედაქალაქში არსებული მდგომარეობისა და უცხო ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილების შესწავლას და სააგენტოს ხელმძღვანელისთვის დასკვნებისა და წინადადების წარდგენას კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად;

ნ. სააგენტოს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობის და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, სააგენტოს საქმიანობის ანალიზს – შესწავლას, რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას და სააგენტოს ხელმძღვანელისათვის წარდგენას;

ო. სააგენტოს ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაციას, მათ შორის:

ო.ა. საერთაშორისო ვიზიტების დაგეგმვას/ორგანიზებას;

ო.ბ. საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციას;

ო.გ. საერთაშორისო კონფერენციების/შეხვედრების დაგეგმვა-ორგანიზებას;

პ. სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერას.

ჟ. საინფორმაციო ბაზის ფორმირებას, პერიოდულ შევსებას და ექსპლუატაციას; ამ მიზნით სააგენტოში მიღებული, დამუშავებული და გაცემული ინფორმაციის შენახვას;

რ. დაინტერესებულ კერძო პირებთან, ორგანიზაციებსა და მედიასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობას.

ს. პრესრელიზის შედგენას და მედიაგაშუქებას;

ტ. სააგენტოს დირექტორის ბრძანებების, დავალებების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გაცემული დავალებების შესრულების კონტროლს.

იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს:

ა. სააგენტოს საქმიანობის ზოგად სამართლებრივ მხარდაჭერას;

ბ. სააგენტოს ინტერესების დაცვას, სააგენტოს წარმომადგენლობას სასამართლოში, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე, მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ. სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი აქტებისა და დოკუმენტაციის, სააგენტოსთან დაკავშირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას, იღებს მათ მომზადებაში მონაწილეობას და უზრუნველყოფს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

დ. სააგენტოს სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავებას და დასამტკიცებლად წარდგენას სააგენტოს უფროსისათვის;

ე. სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/თანამშრომლების მიერ მომზადებული დოკუმენტების (მათ შორის: ბრძანება, შრომითი და სხვა სახის ხელშეკრულებები, მემორანდუმი) სამართლებრივს ექსპერტიზას და ცალკეული დოკუმენტების კორექტირებას;

ვ. სააგენტოს საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის კოორდინაციას.

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“ დეპარტამენტების განყოფილებების შექმნის გზით უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებში მეტად ეფექტიანი და ხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში, კერძოდ ცხოველთა

მონიტორინგის სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტს დაემატება „ცხოველთა პოპულაციის მართვის განყოფილება“ ხოლო ადმინისტრაციულ დეპარტამენტს შემდეგი განყოფილებები: საფინანსო-მატერიალური განყოფილება, საორგანიზაციო განყოფილება, იურიდიული განყოფილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში „დებულება“) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილების ცვლილება, კერძოდ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს უნდა დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი. ასევე, ამავე მუხლს უნდა დაემატოს მე-4 პუნქტი „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

დებულების მე-7 მუხლს ემატება პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები, სადაც განსაზღვრულია „ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტში“ შემავალი განყოფილებების ფუნქციები.

დებულების მე-8 მუხლს ემატება პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები, სადაც განსაზღვრულია ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შემავალი განყოფილებების ფუნქციები.

პროექტის მიხედვით ასევე იცვლება დებულების მეათე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც აზუსტებდა სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილის მოვალეობებს, მხოლოდ ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ნაწილში.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 20 თებერვლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505753-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505753-03 წერილით წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მერვე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილი) წარმოადგინა ქ-ნმა ქეთევან კანდელაკიშვილმა.

მომხსენებლის (ქ. კანდელაკიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანიზაციების - თბილისის რაიონის გამგეობების რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 დეკემბრის №1-637 ბრძანებით, 2025 წლის 1-ელი თებერვლიდან დაიწყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების - თბილისის რაიონის

გამგეობების რეორგანიზაცია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით.

შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, საჭიროა შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების შემუშავება ითვალისწინებს როგორც ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას, აგრეთვე, შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახური რამდენიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფად (განყოფილებად) იყოფა, რომელთა ფუნქციებიც სწორედ ზემოხსენებული დადგენილებით არის გაწერილი.

აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს, სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის სწორი ფუნქცია-მოვალეობების მინიჭებას, კონკრეტული და ახალი მიმართულებების განსაზღვრა/ჩამოყალიბებას.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას წარმოადგენს, დადგენილების მოქმედი რედაქციის მიხედვით არსებული „ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილების“ გაყოფა ორ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად. ახალი დადგენილების პროექტის თანახმად, ცალკე ჩამოყალიბდება მონიტორინგის განყოფილება, რომელსაც გადაუწილდება ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილების ფუნქციების ნაწილი და აგრეთვე, დაემატება რამდენიმე სრულიად ახალი ფუნქცია. მონიტორინგის განყოფილების ძირითადი მიმართულება იქნება სახედამხედველო საქმიანობა, რაც მოიცავს დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნის საჭიროების შემთხვევაში ადგილზე გადამოწმებას, სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის ფარგლებში გადარგული ან/და საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დარგული მწვანე ნარგავების მონიტორინგს, გადარგვის ან საკომპენსაციო რგვის შედეგად დაინტერესებული მხარისათვის წარმოშობილი ვალდებულებების მონიტორინგს, ჭრის/გადარგვის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავებას, ერთიანი ბაზის შექმნასა და რეგულარული განახლებას, სპეციალური ჭრის ფარგლებში მწვანე ნარგავების აღწერას და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ რეგულაციებით მკაცრდება სამსახურის მიერ გაცემული ნებართვების ფარგლებში გადარგული თუ დარგული მწვანე ნარგავების მდგომარეობის მონიტორინგი, რაც ხელს უწყობს გამწვანებული სივრცეებისა შექმნასა და განვითარებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო რამდენიმე წელია სამსახურმა შეცვალა მიდგომა მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნების მიღებასთან დაკავშირებით და გაამკაცრა მათი კონტროლი, კერძოდ, თითოეული დასკვნა უმრავლეს შემთხვევაში დეტალურად მოწმდება ადგილზე და ხდება

ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენა. აღნიშნულ საქმიანობას სამსახურის სპეციალისტები ახორციელებდნენ სიტყვიერი დავალების საფუძველზე, შესაბამისად, საჭირო გახდა საკანონმდებლო დონეზე მისი დარეგულირება.

ხაზგასასმელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც დაემატა სატყეო პოლიტიკის განყოფილებას, კერძოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვის ორგანოს შექმნის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება და ამ ორგანოს საქმიანობის ხელშეწყობა; ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვის ორგანოს მართვის წესის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება; ასევე, თბილისში არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის, ნიადაგის მომზადების, მწვანე ნარგავების დარგვის, გაშენების, დაცვისა და მოვლის ღონისძიებების ორგანიზება და კოორდინაცია და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები დაზუსტდა და გადანაწილდა იმგვარად, რომ ისინი მოერგო იმ საქმიანობებს, რასაც თითოეული მათგანი პრაქტიკაში ახორციელებს.

პროექტის მიღების მიზანია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასა და სამუშაო გარემოს მოქნილობას.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილით წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

– „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მერვე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილი) წარმოდგინა ქ-ნმა ქეთევან კანდელაკიშვილმა.

მომხსენებლის (ქ. კანდელაკიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების - თბილისის რაიონის გამგეობების რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 დეკემბრის 1-637 ბრძანების საფუძველზე დაიწყო რეორგანიზაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში.

აღნიშნული რეორგანიზაციის ფარგლებში, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულებაში ხორციელდება ფუნდამენტური ცვლილებები, კერძოდ, დღეს მოქმედი ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი - ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილება იყოფა ორ დამოუკიდებელ განყოფილებად, ცალკე გამოიყოფა ნებართვების განყოფილება და შეექმნება სრულიად ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი - მონიტორინგის განყოფილება.

მონიტორინგის განყოფილებას გადაუნაწილდება ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილების ფუნქციების ნაწილი და აგრეთვე, დაემატება რამდენიმე სრულიად ახალი ფუნქცია. მისი ძირითადი მიმართულება იქნება საზედამხედველო საქმიანობა. რაც შეეხება ნებართვების განყოფილებას, მის ძირითად მიმართულებად დარჩება არქიტექტურული პროექტების წარმოებაში ჩართულობა.

გასათვალისწინებელია, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ემატება სატყეო პოლიტიკის განყოფილებას, რაც გარკვეულწილად ამაღლებს თანამშრომლების პასუხისმგებლობა, სწორედ ამიტომ, სამსახურს საჭიროდ მიაჩნია, აღნიშნული განყოფილების ერთ-ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანსია შეიცვალოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანსიით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან სამსახურს ემატება მონიტორინგის განყოფილება, აუცილებელია სხვადასხვა განყოფილებაში არსებული შტატების გაუქმება და ზოგიერთი მათგანის ახალ განყოფილებაში გადანაწილება.

ხაზგასასმელია, რომ მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები დაზუსტდა და გადანაწილდა იმგვარად, რომ ისინი მოერგო იმ საქმიანობებს და საჭიროებებს, რასაც თითოეული მათგანი დღეის მდგომარეობით პრაქტიკაში ახორციელებს, შესაბამისად, აღნიშნულმა განაპირობა 3 არსებული შტატის გაუქმების აუცილებლობა.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში განხორციელებული ცვლილებების მიზანია, ხელი შეეწყოს სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასა და სამუშაო გარემოს მოქნილობას.

სხდომაზე ასევე აღინიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა) დაწყებული რეორგანიზაციის თაობაზეც.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილით წარმოდგენილი “ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0


თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 26 თებერვლის №12-032505756-03 წერილით წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ნიკოლოზ კახეთელიძე